№ 37 28 მარტი, პარასკევი 1866—1875 28 მარტი, პარასკევი № 37

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

რედაქცია

მოლინინის (აბას-აბათის) მაიდანზე, ულორანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულ-ცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულითა, სტრიქონზე—8 კაპ., ციცერონთა, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით— 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

მცირე რამ ახალ-დგმაზე

მუშა-ახალგაზდობა

ვინ არიან ეს მუშები? სდ არიან და ან რა გააკეთესო?—ეგება გეკითხონ და აი, რას მოვახსენებთ:

თავ-ხელ-აღებულებს რომ ეძახიან—ისინი არიან, თვითო-ორ-ორა აქაიქ ვაბნეულები.

და თუ რას აკეთებენ, ამასაც გიგებთ. ზნეობითი მუშობა არა ჰგავს იმ მუშობას, რომლის შედეგად ჩვენ ვხედავთ ხან ორ-ორ ეტაჟიან სახლებს, მდიდრულად გამოჭიმულებს, ხან მამა-სისხლით გაჟღენილ ფულებს, ხან სხვა რამ პირად დიდებას და სხვა.... ის, თუ არ გონების თვალით, ისე არ დაინახება. ზონების თვალი ძლიან გვიან აიხილება ხოლმე. დრო ეჭირება.

პირველ საუკუნების ქრისტიანებსაც ასე ეუბნებოდენ, როდესაც მათ სიცყვა ჭრიტესი გაჰქონდათ სხვა და სხვა ხალხებში და ჰქადაგებდენ ჭეშმარიტებას,—თუ რას აკეთებთო? იმათ არ შეეძლოთ წარმოდგენა, თუ ამ სიტყვის კაცების მოქმედება რას მოუტანდა კაცობრიობას, მაგრამ შემდეგმა საუკუნეებმა კი გაამართლეს მქადაგებლების წინა-განძრახული.

როდესაც მუშა ხორბალსა სთესავს, უგნურს გაუკვირდება, თუ ეს კაცი რომ ამდენ პურის მარცვლებს ტყვილა-უბრალოდ აბნევს, ჭურის მიწაში, უკეთესი არ იქნება, რომ დაფქვას, გამოაცხოს თვითონ და სჭამოსო? ამას ის მართლის გულით იტყვის და იმას კი არ ფიქრობს თუ მუშა რათ სთესავს.

ზაფხულში რომ მივიდეს იმავ ყანასთან და ნახოს ამოსული და დამწიფებული პური, ვერც მაშინ მიხვდება, თუ ეს რა გვარათ ამოსულაო? მაგრამ ეს მისი რეგვნობა რა მუშის ბრალია?

პურის მომკა და ნამგლის ტრიალი რადგანაც თვალისათვისაც სასეიროა, ამისათვის უფრო საქებ მუშაობათ მიაჩნიათ სოზოგადოთ, ვიდრე ახოს აღება, ხვნა, თესვა და მარგვლა. მაგრამ განა ეს სიმართლეა? შემოდგომის მთესველი მუშა რით ვერ უდარის ზაფხულის მკელ-მუშას?..

როგორც ყოველი დასაწყისი აგრეთვე ხალხის განათლების დასაწყისი ძნელია. საქმე ახოს აღება, ე. ი. ყანის გატეხა, დახვნა და დათესვაა, თორე შემოსულის პურის მომკა რა ძნელია? დამწიფებული პური თავის თავათაც ნამგალს მოითხოვს და მოამკევინებს თავს. მაშინ მეთაურობა მაინცა და მაინც დიდი გასაჭირი არა არის რა!...

ღლეანდელი ჩვენი მუშა-სტუდენტები სწორეთ ამ მდგომარეობაში არიან და შემოდგომის მუშებსა ჰგვანან. იმათ დაინახეს, რომ ჩვენი ქვეყანა ღრმა უმეცრებაშია, რომ იმის ზნეობის ნიადაგს შამბი გადავლია, გაეკლულა და ძნელილაა, რომ გაუმარგლავათ და გაუწმენდელათ თესლი მიიღოს. ამისათვის ჩუმათ, თავდახრით ჰმარგვლენ შამბს და ეკალსა და იმ დროს თუ უნახავ, ე. ი. გველ ბაყაყი-მორიელი შეხვდათ, თავს გაუჩეჩქვენ ხოლმე. და ეს შესანდობი საქმეა.

დიახ, მათი მუშაობა ღლეს თუმცა ერთის შეხედვით კი არ მოსჩანს, მაგრამ მაინც გმირული მუშაობაა და ამ მუშაობით მომავალ დგმას უმზადებენ საქმეს და უადვილებენ.

აქ უნდა გამოვსტყდეთ, რომ გულით მსურველი და თანაც მშრომელი მუშები ბევრი გვჰყავს, მაგრამ ორიოდეს გარდა, მიტომ არ მოგვყავს ისინი სათვალავში, რომ მათი მუშაობა გალიაში ქარის დამწყვდევა, ამათი შრომა უნამყოფოდ მიდის, რადგანაც ისინი უცხო ქვეყნის სათვალეებით უჭვრეტენ ჩვენს ქვეყანას და არა აქვსთ შესწავლილი, არ იციან რა ეჭირებათ და რა არის ნამდვილი სნეულება ჩვენის ქვეყნისა, რომ მას შეწონით წყლული გაუკურნონ.

ზოგიერთები დაუხვნელ მიწაში სთესენ, ზოგნი ნამგალს ლესავენ და ზოგი რას! ერთის სიტყვით უდროოდ მუშაობენ! თორემ რომ ისინი მოიფიქრებდენ, შეერთდებოდენ, და ისე დაიწყებდენ მუშაობას, მაშინ მათი რიცხვი დიდ-ძალი იქნებოდა.

მაგალითად, მაშინ როდესაც ჩვენს ხალხს ეჭირება ჩიჩინი და გამოფხიზლება, უმეცრებისაგან ზოგიერთი კეთილის მოსურნე მუშა ზის ოთხში და იქ რაღაც წილადობილასა ჰბ ჯღნის და ან რამე საგანი აუღია სპეციალურათ, იმას ჩაკვდომია, აზის ზედ კრუხივით, სთხზავს ნემეცურ ენაზედ და თავი მართალი ჰგონია, მაშინ როდესაც ჩვენს ხალხს მითი არცა სცივა და არცა სცხელა. იმათ მუშობაში არავითარი მსხვერპლი არ მოსჩანს ხალხის გულისათვის, თვინიერ პირადის თავ-მოყვარეობისა. იმათი მოვლენა ჩვენთვის ჯერ ადრეა.

არა, ჩვენის ჭაზრით, ის, რომელიც საკუთრად ჩვენის ხალხისათვის არ მუშაობს და მაზედ დაშორებულია, კეთილი მუშაც რომ იყოს, არ მიგვაჩნია იმ ჩვენგან—დასახულ მუშათაგანად და ეს მიზეზია, რომ მუშა-სტუდენტებათ ჩვენ ვმიგვ ჩნია არა მრავალი.

ბევრს უკვირსთ, რომ ის მუშა ახალ-გაზდები ვერ თავსდებიან ერთად, ერთმანეთს ესაყვედურებიან—და ეს ვერ არის კარგი ნიშანიო. მგრამ ეს შემცდარი ჭაზრია: ვის არ უნახავს ორი ან სამი ერთგული გამდელი ერთად ერთს ოჯახში და მერე მისთანა ოჯახში, რომელიც არეულ-დარეულია და სამუშაო კი ბევრი აქვს? საწყალი გამდლები ხან იქით ეცემიან, ხან აქეთ, ყველაფერზედ გული შესტკივათ, ისიც უნდათ გააკეთონ, ესეც, შრომობენ, იღლებიან და ბოლოს როდესაც ერთად შეისვენებენ, ერთი ერთმანეთზედ გული აკლიათ, რომ როგორც უნდოდა და რიგია, ისე ვერ იმუშავეთ და სტეხენ აყალ-მაყალს: ეარდისახარ ნარიგულს ესაყვედურება, ნარიგული პირმთვარისას და სხვა. მაგრამ ყველანი კი მართლები არიან და ერთმანეთს მეტის ოჯახის ერთგულებით ესაყვედურებიან!..

მართალია, ამ გვარი საყვედური აქვსთ ერთმანერთში მუშა-სტუდენტებს, მაგრამ მითი მუშაობას არ შეშლიან!... შინაურულად გამორიგდებიან.

ჩვენ იმ ჭაზრისა ვართ, რომ ამ მუშა-ახალგაზდებმა უნდა შისცენ ხელი ერთმანეთს, კერძოობას ერთმანეთში თავი დაანებონ და მაშინ ვნახავთ, თუ როგორ კეთილად წავა მათი საქმე.

აქ ვათავებთ საზოგადოთ ახალგაზდობაზედ სიტყვას და შემდეგში კი ვეცდებით, რომ ცოტა რამ ქალებზედაცა ვსთქვათ, რასაკვირველია, ახალგაზდა ქალებზედ.

აკაკი

დღიური

□ თავდება დიდი მარხვა, მაგრამ ნამდვილი დიდი მარხვა თავის კონცერტებითა და პუბლიკური ლექციებით ახლა იწყება ჩვენი ქალაქისათვის: „თფილისის წრეში“ კონცერტები, კონცერტი შევალიეს ქალისა, ერიცოვის პუბლიკური ლექციები, პუბლიკური ლექციები სტადლინისა!

ეს სტადლინი მაინც გასაკვირველი კაცია: აკი დაარღვია, აკი მიწასთან გაასწორა შარშან დიდ-მარხვაში ბოკლის, დარვინისა, სეჩენოვის და სხვა ფილოსოფოსების თეორიები? ახლა კიდევ ხელ-მეორეთ იწყებს! ვისაც ჭსურს ნამდვილი, შეუცდომელი ჭაზრები გაიგონოს თანამედროე „ფილოსოფიაზე და მეცნიერებაზე“, დღეს საღამოს წავიდეს „თფილისის წრეში“ და უფ. სტადლინის მჭევრ-მეტყველი პირიდამ გაიგონებს..

ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რომ ფრანცუზებითანა მხნე და გამბედავი ხალხი დედა-მიწაზედ არ მოიპოვებაო.

□ ისეთი საქრობი მაშინები და აპარატები მოუტანინებია ქალაქს, რომ, იმედია, ახლა ცეცხლი ვერას დაგვაკლებს. წასულ ორშაბათს, გამოსცადეს ეს მაშინები და აპარატები და სიმეტონი გამოჩნდნენ.

□ უფ. თფილისის უფროსი პოლიციმეისტერი აცხადებს, რომ რადგან ამჟამად მთებში თოვლი დადნება და შეიძლება მტკვარი გადიდეს, ამის გამო ამ შემთხვევაში, ე. ი. როცა მტკვარი გადიდდება, ხალხის გასაფრთხილებლად, რაკეტს აუშვებენ და ზარბაზანს ისვრიანო.

□ იმ ავაზაკობისა და კაცის კვლის თაობაზე, რომელზედაც ღლეანდელ „დროების“ ნომერში ერთს კორრესპონდენციას წაიკითხავთ, ორი კიდევ სხვა მოგვეიდა ოზურგეთიდამ. ერთი იმათგანი, სხვათა შორის, იწერება, რომ ამ უკანასკნელ დროს ბურიაში საზოგადოთ ძალიან გახშირდა ქურდობა და ცუდ-კაცობაო.

ამ გვარსავე ამბებს იმერეთის ბევრი ალაგებიდამაც გვწერენ.

□ ერეთიდამ ერთს შემთხვევას გვწერენ: ერთს გლეხს ცოლის შერთვა უნდოდა. დიდს წვალებით სადღაც ეშოვნა ორი მანეთი, მიეტანა მღვდლისთვის და ეთხოვნა: ამ ორი მანეთის მეტი ფული არ გამაჩნია, მიირთვი და ჯვარი დამწერეო. მღვდელს ეთქვა, ჯერ თუმანი წარმომიდგინე და მერე ჯვარს დაგწერო. დიდხანს ეხვეწებოდენ თურმე გლეხი და იმის საცოლო, მაგრამ მღვდელი არ დათანახმებულა. ბოლოს მოთმინებიდამ გამოსულს პატარძალს (ქვრივს) აუღია თავის ბოხჩა, მისულა საქმრომოსთან და უთქვამს: „ხომ ჰხედავ, რომ არა გვეშველა რა? მოდი, მაგ ორი მანეთით ოჯახში რამე ვიყიდოთ და ჩვენ კი ჯვარ-დაუწერელად ვიცხოვროთ...“

□ ამას წინათ ერთს მარტვილელ მღვდელს ცოლი გახდომია ავათ. ახალ-სენაკის ექიმთან მისულა და ავათმყოფის საექიმოთ მიუპატიჟნია. ბევრი ეაჭრობის შემდეგ, ეს ექიმი როგორც იყო დათანხმებულა, გზის ფული (25 ვერსია) ხუ-

თი მანეთი მომეცი და წამოვალო. Ბ ჭირვებულ მღვდელს მეტი რა გზა ჰქონდა, აუღია და მიუცია. Თვითონ წინ წასულა, როგორც ეკადრება, ისე დავხვდები ექიმსაო. მაგრამ იმ დღეს უცდია ექიმისთვის, არ მოსულა, მეორე დღესაც არ გამოჩენილა; მესამე დღეს ავათმყოფს აღარ მოუცდია... Ბადაბრუნებულა საწყალი და მიცვალებულა.

ეს ამბავი რომ ნამდვილია, დასამტკიცებელი საბუთები ხელში გვაქვს..

□ „Droebis“ მე-35 ნომერში გამოცხადებული იყო ამას წინათ, რომ მას აქეთ რაც ბაქოს ნავთის წყაროები კერძო პირებმა ჩაიგდეს ხელში, ნავთის წარმოებამ ერთიორად იმატაო. მაგრამ ერთს რუსულს გაზეთში სწერენ ახლა, რომ მართალია, წყაროების მეპატრონეებმა პირველად ძალიან მხურვალეთ მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი, მაგრამ ბოლოს-და-ბოლოს ისევ შეუშვესო და ეს წარმოება ახლა სრულიად სანატრელს მდგომარეობაში არ არისო.

□ Daibeჭდა და გასასყიდათაც გამოვიდა მერვე ტომი „Kavkasiis მთიულებზე ცნობათა კრებისა, გამოცემული უფ. Morrონოვის რედაქციით Kavkasiის მთიელ სამმართველოსაგან. Ყველას, ვისთვისაც ჩვენი მთიელების ცხოვრების გაცნობა და იმათი ქვეყნების ეტნოგრაფია საინტერესოა, ეს „Kreba“ ბევრ მასალას მისცემს.

უმოკრჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომელთაც შარშანდელი ანუ წლევანდელი გაზეთის ფული ჯერ არ შემოუტანიათ, რაც შეიძლება მალე შემოიტანონ.

დღიური

რედაქციისაგან

ს მზღვარ გარეთის ხელის-მომწერლებისათვის ვაცხადებთ, რომ გაზეთი „Droeba“ გავზავნით ღირს, წელიწადში:

საფრანგეთში და Ოსმალეთში— 13 მან.

შვეიცარიაში და Germანიაში — 12 მან.

ვაცხადებთ ამას იმიტომ, რომ ზოგნი ფოჩტის ფულს არ ანგარიშობენ და ჰგონიათ, რომ გაზეთი სამზღვარ გარეთაც 8 მანეთად ღირს.

„DROEBIS“ KORRESPONDENCIA

Oზურგეთი, 22 მარტს

ვჩქარობ გაცნობოთ ანბავი, რომლის გამო მთელი ჩვენი ქალაქი შეძრული და შეწუხებული არის.

წუხელი, ღამით უცნობი ავაზაკნი, როგორც ამბობენ, ათ კაცამდის საათის თერთმეტზედ შეუცვინდენ სახლში აკოშკიდამ ერთს აქაურს დამოჟნის ჩინოვნიკს Orlოვსკის; თვითონ ის და ერთი მისი ხელ-ქვეითი იასაული (ობიეშჩიკი) ჭღენტი მოჰკლეს; ამას გარდა იქვე ყაფნი ერთი დედა-კაცი და ამისი ძმა დასჭრეს.

Თუმცა Orlოვსკის სახლში მყოფს სამ დედა-კაცს ბევრი ეყვირათ და ეკივლათ, მაგრამ დროზე შემწეობა ვერ მიეცათ მათთვის მის გამო, რომ Orlოვსკის სახლი მოშორებულია ქალაქის სხვა შენობებზე, დგას წყლის პირზედ და ტყის მახლობლათ.

Bოლოს, რაკი გაიგეს, მთელი პოლიცია, სასამართლოს ჩინოვნიკები, თითქმის მთელი ქალაქის მცხოვრებლები მისცვინდნენ და იწყეს ძებნა ავაზაკებისა როგორც ეზოში, ეგრეთვე მთელს ქალაქში; ეძიეს მთელი ღამე გათენებამდის. მაგრამ ვერ გაიგეს. Dილას, ადრე უეზდის ნაჩალნიკი და პოლიციის ჩინოვნიკები წავიდნენ სხვა და სხვა ალაგას ავაზაკების სადევნელად.

ქალაქი ძლიერ გაკვირვებული და შეწუხებულია ამ მოულოდნელი და საოდავი შემთხვევითა, რადგან 1856 წელში თათრის ომიანობის გათავების შემდეგ მსგავსი ბოროტება არ მომხდარა Oზურგეთში და საზოგადოთ Bურიაშიც, თუმცა ჩვენი ქალაქი მხოლოდ ექვს ვერსტზედ არის თათრის საზღვრიდგან და ადგილ-მდებაროებისა გამო იქაურ ავაზაკებს არა თუ ღამით, არამედ დღითაც შეუმჩნეველად შაუძლიანთ შემოვიდენ ქალაქში და დაეცენ ვისმეს—ნამეტნავ ესრედ დაშორებულს სახლებს, როგორც საბრალო Orlოვსკისას, ამიტომ რომ მთელი ზემო თქმული სიერცე, ესე იგი თათრის საზღვრიდამ თვით Oზურგეთის ქალაქამდის სულ ტყე არის.

საზოგადო ხმით ავაზაკობისა ან მონაწილეობის ბრალი ედება თვით Orlოვსკის სახლში მყოფებს, რომელთაგან ერთი კაცი და ერთი ქალი უკვე დაატუსაღეს.

Gაბრიელ Gიგიგური

D. Saჩხერე, მარტის 19-ს

Dიდი ხანია, რაც ჩვენ შესანიშნავ დაბა საჩხერეზე, არაფერი ამბავი წაგვიკითხავს შემდეგ მისა, რაც რომ Bორისელმა წარსულის 1873 წლის „Droebis“ გაზეთში 39 და 40 ნომრებში არ გაძოგვიხატა სურათი ამ, როგორც თვითონ უწოდებს, დედა ქალაქის ზემოთი პაწაწა კუთხის ჩვენის ქვეყნისა.“

ნუ თუ იმდენათ შესანიშნავი არ არის ეს ჩვენი პატარა დედა ქალაქი, რომ პირველი ადგილი ეჭიროს Iმერეთში როგორც ადგილის მდებიარეობით, ისე მატერიალური და ზნეობითი დიდებით?

შარშანწინ სახლთხუცესის ზ. წერეთლის შვილი-შვილი (Aლ. წერეთელი) გარდაიცვალა და მემკვიდრეს ჩაბარეს განსვენებულის დანაშთენი ნივთები. Iმათში ამოჩნდა ბევრი ძველი ხელ-ნაწერი წიგნები სხვა და სხვა დამამტკიცებელი ისტორიისა და არხეოლოგიის საბუთები რომელნიც ღირსნი არიან, რომ ყურადღებით გაიჩხრიკონ.

Mხლა რას მეტყვით: ღირს თუ არა იმისთანა ქვეყანაზე ლაპარაკი? მე სხვასაც ბევრს ღირს-სახსოვარს გეტყოდით; მაგრამ ვგონებ ეს ერთიც კმარიყოს. მე მაგონდება ერთი ანდაზა: ნაპოლეონ 1-მა ერთი ციხე მოულოდნელათ ჩქარა აიღო. როდესაც ციხის კომენდანტმა ციხის გასაღები მოართვა, ნაპოლეონმა მიზეზი კითხა ციხის გადმოცემისა; კომენდანტმა მიუგო, რომ „მას ქონდა თუთხმეტი მიზეზი ციხის გასაღების გადმოცემისა! პირველი ეს, რომ თოფის-წამალი შემოაკლდათ და მეორე ეს, რომ...“ ნაპოლეონმა გააწყვეტინა სიჩქარით სიტყვა:“ Dანაშთენი საჭირო არ არის, კმარა ეგ ერთიცო.“

Mაშ ამ ერთს საბუთზედაც დამეთანხმეთ, რომ ღირსია საჩხერე ყოველ შემთხვევაში ვახსენოთ.

Dვილი ამბები გიამბეთ, ეხლა ახალ ამბავსაც გიამბობთ.

Iქნება იცოდეთ ისტორია Mოდანახის ციხისა. Aმაზე ბევრჯერ დაუწერიათ სხვა და სხვა ჟურნალებში. Ყირიმის ომის ერთი თუ ორი წლის წინეთ უ Bლინასაროვმა „Kavkazის კალერდარში“ დაწვრილებით აწერა.

Mოდანახის ციხე არის აშენებული წარსული საუკუნის დასაწყისში. Ღირს სახსოვარ მოხსენებულის პაპას Aბაშიძის ქალი უთხოვია და იმასაც მიზეზი დაუდევს: თუმც ციხე არ აგიშენებია, ჩემ ქალს არ მოგცემო, და აუშენებიათ მოდანახის ციხე და შეუთვლიათ: „მოდი და ნახეო“. ეს ამისათვის მოგახსენეთ, რომ ამ Mოდანახის ციხეს აქვს დამოკიდებულება მეორე ციხესთან, რომლის ამბავი მინდა გიამბოთ.

Aძაევე დაბას საჩხერეს არის ერთი ციხე მახლობლათ Mოდანახისა, ჩრდილოეთით, რომელიც სიძველისა და დროთა ბრუნვისა გამო სრულიად დაეწყებაში მიცემულა; არ ვიცით თუ როდის ან ვისგან აშენებულა, ან რომელ საუკუნეს ეკუთვნის. Mხოლოთ ეს კარგა ვიცით, რომ მე-XVII საუკუნის დამლევს ეს ციხე არ უნდა ყოფილიყო, თორემ Aბაშიძე არ მოითხოვდა ციხის აშენებას.

Aმ ორმოცდა ათის წლის წინათ, როგორც მიამბო ერთმა მოხუცმა: ღენერალმა ქურნატოვსკიმ გამოიძია ამ ციხის საქმე და მაშინ სარდალმა— ქაიხოსრო წერეთელმა უანბოო, რომ ამ ციხის ისტორია არ ვიცითო, ჩვენ გაგვიგონია ჩვენი მამაპაპებისაგანო, რომ მათი მამაპაპებიც გამოკვლევაში იყვნენ და არ იცოდნენ, როდის აშენებულა ეს ციხეო; მაგრამ, ჩემის ჰაზრით, ეგონებ ეგ ციხე იყოს აშენებულიო თავად Mოდაძეებისაგანო, რადგანაც მაგ ციხეში იპოვეს მოჭედილი ხატი, რომელზედაც ეწერა: „ხატი ესე ყოველად წმინდა Dვთის მშობლისა შეეამკვე თავადმა Mოდაძემ.“ Aმითი სჩანს, რომ ციხეც მათი უნდა იყოსო.“

Mოდაძეები არიან აქ გლეხნი, შეიძლება მათი შთამომავლობის იყვნენ და დროთა ვითარებისაგან ღირსებაც დაკარგეს. Mაგრამ ეს ძალიან ცოტა საბუთი არის, რომ ციხე Mოდაძეებს ეკუთვნოდათ. Aსრე-არის თუ ესრე, ჩვენ დავარქვათ ამ ციხეს Mოდაძის ციხე.

ეს Mოდაძის ციხე ამაყათ დასცქეროდა საჩხერის არე-მარეს, ის იყო დამამშვენებელი სოფელთა, ის იყო მოწმე რამოდენიმე საუკუნის ცვლილებისა, ის ამაყი მოხუცი შეიკავდა რამოდენიმე საუკუნოების ისტორიას და თითქო კიდევაც დაგვცინოდა ამ სიტყვებით: „იმერლებო, ჯერ განათლდით და მერე გამომიკვლიეთ და შეიტყობთ ჩემი არხიტექტურული შენობა რომელ საუკუნეს ეკუთვნისო; და მე თუ ხელს არ მახლებთ, მოგიცდით ესრე ამაყათ კიდევ რამოდენმე საუკუნესო, ოდესმე აღმოაჩენთ, თუ რა რჯულის ხალხი შემომდგომია და ვერა დაუკლია რაო და მათ ძვლებს თავზე დავცქერიო, და როდესაც ესე ყველა ასრულდება, მაშინ ვიტყვიო: „აწ განმიტევე მე, უფალო.“

საოდავი Mოდაძის ციხე ვერ მოესწრო ამ დროს: რისაც ეშინოდა, იმის მსხვერპლი შეიქმნა: ერთმა თავადთაგანმა დააქცია და სახლს მოახმარა მასალათ! Vერ იპატიეს თავი უმეცრებისაგან, თუმცა მთავროობისაგან რამოდენიმეჯერ დათხოვა ყოფილა ძველის შენობის დაქცევაზე! Dარჩა მხოლოთ ჩრდილოეთით მცირე კედელი, რომელიც გადმოიცქირება გორაზე დაღრეჯილი და დამახინჯებული; რომ შეხედოთ, გიგონებათ დედაბერი დგას გორაზე და გადმოგვჩერებიაო.

Sხვიტორელი

(Dასასრული შემდეგში)

რუსეთი

AᲝᲠ თვეზე მეტია, რაც მართებლობამ შეადგინა პეტერბურღში კომისია, რომელსაც უნდა განეხილა რუსეთის მუშა-ხალხის მდგომარეობა და განსაკუთრებით ფაბრიკების მუშებზედ და მოსამსახურეებზედ უნდა მოელაპარაკნა. როგორც გაზეთებში სწერენ, ამ კომისიას ახლა გაუთავებია თავის მოლაპარაკება და ამ კითხვის თაობაზე ახალი წესდება დაუდგენია, რომელიც უმაღლესს მთავრობას უნდა წარუდგინოს დასამტკიცებელად.

AᲝ Odესის გაზეთებში იწერებიან, რომ ამ უკანასკნელ დროს ამ ქალაქში მათხოვრები საშინლად გამრავლდნენო. Iსეთი გაჭირებულები არიან, რომ ტანთ ძონძები აცვიათ, შიმშილისა და უსახლ-კარო ცხოვრებისაგან გამხდარან, გაყვითლებულანო და გამვლელ-გამომვლელს არ შორდებიან, სანამ ერთ კაპეიკს მაინც არ მისცემენო.

AᲝ Kიშინევში შემდგარა საზოგადოება, რომელიც იქაურ სასწავლებლების ღარიბ შეგირდებს ყოველის ღონის-ძიებით ხელს უწყობს: საცხოვრებელ საშუალებას აძლევს, ტანისამოსს, იმათ მაგიერად სწავლის ფასი შეაქვს სასწავლებლებში და სხ.

✱ ხუთი წელიწადია მას აქეთ, რაც ერთმა რკინის გზის აშენებაში გამდიდრებულმა ურიამ—პოლიაკოვმა—სპეციალური შკოლა გახსნა ქ. ელცში. ამ შკოლაში რკინის გზებისათვის მაშინისტებს და სხვა ყოველ-გვარ მოხელეებს ამზადებენ. ამ ჟამად შკოლის საქმე, როგორც ამბობენ, ძალიან კარგათ მიდის თურმე, 131 შეგირდია და ყოველ წელიწადს 30—40 კარგი ნასწავლი მოხელეები ათავებენ სწავლას. პოლიაკოვმა იმ თავითვე 30,000 მანეთი შესწირა შკოლას და ორი სახლი—25,000 მანეთის ფასი.

✱ რადგან რუსეთის ბევრ გუბერნიებს თითქმის ყოველ წელიწადს გოლვისა და უწვიმობისაგან ბევრი ზიანი ეძლევა, ამის გამო სახელმწიფო ქონების სამინისტროში მოლაპარაკება არის ახლა თურმე იმის თაობაზე, რომ ზოგიერთ რუსეთის უდაბნო მინდვრებში ტყეები გააშენონ, რომ ამ გვარად სინოტიო გაჩნდეს და მინდვრებს გოლვამ ამდენი ზიანი არ აძლიოს.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. მარტის 20-ს ვერსალის ნაციონალურ კრებას, ზოგიერთ წერიმალ კითხვებზე მოლაპარაკების შემდეგ, შეუწყვეტია თავის სხდომები და ამნაირად მაისის 11-მდი (აპრილის 30-მდი) კრების სხდომები აღარ იქნება.

ნაციონალური კრების მაგივრად, ამ ვაკაციების დროს, თვითონ კრების წევრებისაგან ამორჩეული 25 კაცია, რომელიც „მუდამ კომისიას“ შეადგენენ და ამ დროს განმავალობაში იმ საქმეებს განაგებენ, რომელიც ნაციონალური კრების მოვალეობაში შედის. ამ კომისიას პირველი სხდომა მარტის 22 ჰქონია, მაგრამ ამ სხდომაში შესანიშნავი და ყურადღების ღირსი არა მომხდარა რა. მეორე სხდომა 1 აპრილს იქნება.

იტალია. იტალიის კოროლი მიქტორ-ემანუელი ამ მოკლე ხანში ავსტრო-მენგრიის იმპერატორის—ფრანც-იოსების — ვიზიტს მოელის და ამის თაობაზე ახლა იტალიაში ერთი ფაცა-ფუცია. დიდის ამბით უნდა დაუხვდენ ამ სტუმარს ვენეციაში სადაც იტალიის ტახტის მემკვიდრე პრინცი ბუმბერტია გაგზავნილი.

მაგრამ ამაზე უფრო მომეტებულს იტალიის გაზეთებში ახლა ბარიბალდის დღეობაზე ლაპარაკობენ, რომელიც მარტის 20 ყოფილა. ამ დღეს ბარიბალდის სახლის ყველა კარები ღია იყო თურმე და ვინც უნდოდა, შედიოდა და ულოცავდა. უანგარიშო ხალხი იყო თურმე იმ დღეს ბარიბალდის მისალოცავათ და ისიც ძალიან კმაყოფილია, რომ ამ დიდებული რომის ქალაქის მცხოვრებლები ასეთს სიყვარულსა და თანაგრძნობას უცხადებენ ყოველთვის.

ინგლისი. ლონდონიდამ იწერებიან უცხო ქვეყნის გაზეთებში, რომ მმართველობა ძალიან შეშინებული არისო: სამხრეთ უელსში ფაბრიკების მუშების არეულობას მოელისო და ამის გამო იქ ახლო-მახლო ქალაქებში ჯარი დამზადებული ჰყავსო.

—ლონდონის გაზეთებში ბევრს ლაპარაკობენ ახლა იმის თაობაზე: უნდა დაისაჯოს ჯოხით ის კაცი, რომ ლიც ავაზაკობას სჩადის, ლოთობს, ცოლს სცემს, თუ არაო? ზოგიერთი ისეთი პირები ჩნდებიან, რომელნიც ამტკიცებენ, რომ გამხეცებულ კაცის მორჯულება მხოლოთ მხეცური საშუალებითა და დასჯით შეიძლებაო და ამიტომ იმათი ჯოხით ცემა სასარგებლოა. ამის თაობაზე ერთს ინგლისურს გაზეთში გამოჩენილის ჯონ ბრაიტის წერილია დაბეჭდილი, რომლიდამაც ზოგიერთი ალაგები მოგვყავს:

„ზოგიერთები ჰფიქრობენ, რომ ჯოხი საუკეთესო დასასჯელი იარაღია იმათთვის, რომელნიც ღამე სცარცავენ ხალხს და ან უმოწყალოთ, შეუბრალებელად სცემენ თავიანთ ცოლ-შვილს. ეს შემცდარი ჰაზრია: ვინ რას მოიგებს ამ გვარი დასჯით? ცოლი, რომლის ქმარი ჯოხით დასაჯა კანონმა, შემდეგაც ხომ ვალდებულია ამ ქმართან იცხოვროს? და რა ცხოვრება ექნებათ ამისთანა ცოლ-ქმარს? ბანა მერე უფრო სასტიკად არ მოეპყრობა ქმარი იმ ცოლს, რომლის წყალობითაც იმას ჯოხით სცემეს? ჩვენი კანონები ბევრ სხვა ქვეყნების კანონებზე უფრო სასტიკი და შეუბრალებელია; მაგრამ ამ შეუბრალებლობამ, როგორც ჰხედავთ, ხალხზე კეთილი ზედ- ბოქმედება ვერ იქონია. სიმთვრალესა, ავაზაკობას და მცარცველობას დამნაშავეების ჯოხის ცემით ვერ მოვსპობთ. ამას სხვა უფრო ღრმა მიზეზები აქვს და თუ გინდათ ბოროტები მოისპონ, ჯერ ეს მიზეზები მოსპეთ...“

წესდება

თიანეთის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა

თარგმნილი

ლევან ჯანდიერიშვილისაგან

—

ნამდვილს აწერია:

ვამტკიცებ

ფინანსთ მინისტრი

სტატს-სეკრეტარი რეიტერნი

30 აპრილს 1874 წელსა.

აზრი და შედგენილობა ამხანაგობისა

1) თიანეთის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა ფუძნდება თფილისის გუბერნიის, თელავის უეზდის თიანეთის საპრისტაოს სოფელს თიანეთში, იმ განზრახვით, რომ თავის წევრებს (ამხანაგებს) მისცენ ღონისძიება:

ა) რომ ინახებოდეს მათი გამოზოგებული ფული, და

ბ) შეეძლოთ სესხათ ფულის გამოტანა.

2) ამხანაგობაში წევრებათ (მოამხანაგეთ) მიიღებიან:

ა) ორივე სქესის (კაცი და დედაკაცი) ყველა მცხოვრებნი თელავის უეზდის, თიანეთის საპრისტაოში, რომელნიც ოცდა ერთი წლისა შესრულებულან და აქვთ უფლება განაგონ თავიანთი ქონება; და

ბ) ამხანაგობანი და არტელები, დაფუძნებულები იმავე ადგილს განწესებულის შეკრულობის ან წესდების საფუძველით თუ თანახმანი არიან, რომ პასუხის მგებელნი იქმნებიან, წინაშე ამხანაგობისა, თავიანთს შეკრულობის წერილებზე და თვით ამხანაგობის შეკრულობაშიაც თავიანთის წევრების ერთობრივ თავდებობით (მუხლი 8. პუნქტი ბ.)

3) წევრების მიღება ამხანაგობაში უნდა მოხდეს ხოლმე დახურულის კენჭის ყრით საზოგადო კრებაში (მუხლი 107 პუნქტი ა). რომელს პირსაც გამოუვა უბრალო მომატებული ხმა, ის ჩაითვლება ამორჩეულ წევრათ ამხანაგობისა.

4] ამხანაგობაში წევრათ მიღება წლის ყოველს დროს შეიძლება.

5) ამხანაგობანი და არტელები, მოხსენებულნი 2 მუხლში პუნქტი, ბ., მიიღებიან ამხანაგობის წევრებათ კენჭის ყრით როგორც თვითო პირი, თანხმად 3 მუხლისა.

6) ამხანაგობის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს ამხანაგობის საზოგადო კრებაში ხმის უფლებითა (მუხ. 100);

ბ) ამორჩეულ იქმნას წევრათ გამგებლობისა და რჩევისა (მუხ. 76 და 87);

გ) იყოს თავდებათ სხვის ვალდებულებაში წინაშე ამხანაგობისა (მუხ. 42)

დ) ფული სასარგებლოთ შეიტანოს შესანახავათ (მუხ 29)

ე) ფულათ სესხი მიიღოს (მუხ. 40);

ვ) მონაწილეობა მიიღოს, ამხანაგობის მოგებაში (მუხ 70); და

ზ) ბამოუცხადოს გამგებლობას თუ ვის და რისათვის უნდა მიეცეს იმის სიკვდილს შემდეგ მისგან შემოტანილი წილის ფული (მუხ. 110 პუნ. ზ.)

7) ამხანაგობის წევრი ვალდებულია:

ა) შეასრულოს დროგამოშვებითი ნაწილ-ნაწილ ფულის შემოტანით ის წილის ფული, რომელიც მას ამხანაგობაში ეკუთვნის (მუხ. 17);

ბ) პასუხი უგოს თავის გამოტანილ სესხში, თავდებობაში (მუხ. 60) და აგრეთვე იმ შეკრულობის წერილებში, რომლითაც ამხანაგობა თავის მხრივ პასუხის მგებელია ვისმესი (მუხ. 27 და 28); და

გ) ასრულებდეს ამა წესდებას, ყოველსავე საზოგადო კრების გარდაწყვეტილობას და არ იქცეოდეს ამხანაგობის საზარალოთ.

8) წევრის პასუხის გება ამხანაგობისაგან მიცემულ შეკრულობის წერილებზედ იწყობა იმ დღიდამ, რა დღესაც წევრი მიღებულია და თავდება იმ დღეს, რა დღესაც დამტკიცდება ანვარი იმ წლისა, როდესაც წევრი ამხანაგობიდამ გამოვიდა.

9) წევრი ითვლება ამხანაგობიდამ გარსულად:

ა) თუ მოკვდა;

ბ) როდესაც განუცხადებს გამოსვლის სურვილს გამგებლობის პირად ანუ ქაღალდით;

გ) როდესაც ვადაზედ თავის შესატანს ნაწილს ფულისას არ შეიტანს (მუხ. 17); და

დ) როდესაც ვადაზედ არ დაუბრუნებს ამხანაგობას თავისაგან ვალად გატანილს ფულს, ანუ თავდებობით შემოსატანს ფულს.

10) წევრის გამოსვლის დღე ამხანაგობიდამ ჩაითვლება: პირველ შემთხვევაში (მუხ. 9. პ. ა.) სიკვდილის დღე, მეორე (მუხ. 9. პ. ბ.) მეორე დღე გამოსვლის გამოცხადების შემდეგ, მესამე —[მუხ. 9. პ. ბ) ვადის შემდეგი დღე და მეოთხე —(მუხ.- 9. პ. დ.) იმ ვადის შემდეგი დღე, რომელშიაც უნდა შამოეტანა საკუთარი ანუ თავდებობითი ვალი.

11) რომელი წევრიც თავის სურვილით გამოდის ამხანაგობიდამ (მუხ.- 9. პ. ბ.) ვალდებულია—გამოცხადების წინათ ამა სურვილისა, თუ თვითონ ჰმართებს ამხანაგობის ფული, შეიტანოს და, თუ თავდებია სხვა წევრისა ვალის აღებაში, უნდა გაინთავისუფლოს თავის თავი თავდებობიდამ.

12) რომელი წევრიც გამოვა ამხანაგობიდამ თავის სურვილით (მუხ.- 9. პუ. ბ.), შეიძლება, თანახმად 3 მუხლისა მიღებულიყოს ხელმეორეთ არა ადრე ერთის წლისა, გამოსვლის დღიდამ, (მუხ. 10]. რომელი წევრიც გამოირიცხა შეუტანელობის გამო ვადაზედ თავის ხვედრის ფულის ნაწილისა (მუხ. 9. პუ. გ.), შეიძლება მიღებულ იყოს ხელმეორედ არა ადრე ორის წლისა, გამოსვლის დღიდამ (მუხ. 10); წევრი, რომელიც გამოირიცხა ამხანაგობიდამ,--ვადაზედ შეუტანლობის გამო თავისის ანუ თავდებობითის ვალისა (მუხ. 9. პ. დ.) შეიძლება მიღებულიყოს ამხანაგობაში ხელმეორეთ არა ადრე სამის წლისა, გამოირიცხვის დღიდამ (მუხ. 10)

წილის ფული ამხანაგობის წევრებისა

13) ყოველ წევრს შეუძლიან იქონიოს ამხანაგობაში მხოლოდ ერთი წილი.

14) წილი არის საკუთრება წევრისა და მით ხათრიჯამდება: თვით ამ ხ ნ ა გ ობის შ კ რ ულ ობ ის წერილები, და აგრეთვე წევრის შეკრულობის წერილები ამხანაგობიდამ ფულის სესხობაზედ და თავდებობაზე ამხანაგობიდამ სხვა წევრის ნასესხს ფულზედ (მუხ. 7. პ. ბ.)

15) დაგირავება, ანუ გადაცემა სხვაზედ მთელი წილის ფულისა, ანუ მის ნაწილისა არ მიიღება და ამხანაგობას ამის შესახებ არაფერში პასუხის მგებელათ არა ხდის.

16) საწილო ფულის ზომა, რომელიც ერთ გვარია ყველა წევრებისათვის,—დადგინებულია ორმოცდა ათი მანეთი.

17) საწილო ფულის შესადგენათ წევრებს შემოაქვთ ყოველ თვეს ოცი კაპეიკი (თითო აბაზი); ყველას მ ურველს წევრთაგანს შეუძ-

ლიანთ წინათ რამდენიმე თვისა ერთათ შემოიტანოს, ან სრული საწილო ფული ერთიანათ.

18) ზადიდება წილის ფულის ზომისა (მუხ. 16) და ნაწილად შემოსატანი ფულის ნაწილისა (მუხ. 17) შეიძლება საზოგადო კრების გარდაწყვეტილობის ძალითა (მუხ. 107 პუნ. ლ, და მუხ. 108), მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც წევრების ორს წილს მაინც სრული წილი ექნებათ.

16) ზემოსულს ამხანაგობიდამ წევრს (მუხ. 9, პუნ. ბ, გ და ღ) დაუბრუნდება მის კუთვნილი წილი ანუ ნაწილი შემოსატანის ფულისა დამტკიცების შემდეგ საზოგადო კრებისაგან იმ წლის ანგარიშისა, რომელშიაც წევრი გამოვიდა ამხანაგობიდამ და შემდეგ თორმეტის თვისა, მოკიდებული იმ დღიდამ, როდესაც იგი ამხანაგობიდამ გამოვიდა (მუხ. 10); იმ წილიდამ ანუ ნაწილიდამ, რომელიც ეკუთვნის გამოსულს ამხანაგს, უნდა დაეჭიროს რაც იმას თავის წილადობაზედ შეხვდება—იმ წლის დასაკმაყოფილებელი ნაწილი, რომელიც ამხანაგობას აუღია და აგრეთვე თვითონ იმისი ვალი საკუთარი, თუ თავდებობისა, რაიც ამ ხანაგობისა ჰმართებს (მუხ, 60),—აღებულები ამხანაგობიდამ გამოსელის დღემდე (მუხ. 10); ეს ფული დაეჭირება გამოსულს ამხანაგს მხოლოდ მაშინ, როდესაც დასაკმაყოფილებლათ შეკრულობის წერილებისა უნდა გადახდეს უთოოთ წევრების წილადს და ამის ნაწილებს (მუხ. 28).

20) ვინიცობაა ამხანაგობის წევრი მოკვდა, კუთვნილი მისი წილი ანუ ნაწილი შემოსატანის ფულისა დაუბრუნდებათ 10 მუხლ. სფუძვლით მის მემკვიდრეებს, ანუ მოიხმარება დანიშნულობისამებრ როგორც მისგან გაკეთებული და ანდერძის წიგნში ჩაწერილი იქნება (მუხ. 110. პ. ზ.)

21) წევრი ამხანაგობაში შესვლის დროს მიიღებს გამგეობისგან თავის სახელზედ ანგარიშის წიგნს, რომელშიაც ჩაწერება ყველა ამისი ფულის ანგარიშები, რაც მას ამხანაგობასთან ექმნება, გარდა სასარგებლოთ შემოტანილის ფულის ანგარიშისა.

ამხანაგობის სამუშაველი თავნი.

22) ამხანაგობის სამუშაველი თავნი შესდგება:

ა) წევრების შემოსატანი წილის ფულიდამ (მუხ. 17);

ბ) სათადარიგო თავნის ნაწილიდამ (მუხ. 68);

გ) სასარგებლოდ შემოტანილის ფულიდამ (მუხ. 29); და

დ) ამხანაგობის, ვალად აღებული ფულიდამ (მუხ. 38)

23) სამუშაველი თავნისა თავისუფალი ნარჩომი შეიძლება დახურდავდეს სხვა წიფო ხაზინის ბილეთებზედ (სერიებზედ), ანუ მიეცეს შესანახავად მმართებლობის ანუ კერძო პირების დაწესებულს ფულის შესანახავ ადგილებში.

24) ამხანაგობის აღებ-მიცემობას შეადგენ:

ა) მიღება სასარგებლოთ შემოტანილი ფულებისა (მუხ. 29—37);

ბ) ვალად აღება ფულებისა (მუხ. 38 და 39); და

გ) ფულის გასესხება ამხანაგობის წევრებზე (მუხ. 40—64).

25) შეკრულობის წერილები სასარგებლოდ შემოტანილ ფულის მიღებისა და ვალის აღებისა მუხ. 24 პუ. ა და ბ), შეიძლება აღემატებოდეს მხოლოთ ათის ზომით ერთიან ჯამსა შემოტანილ საწილო ფულისა და სათადარიგო თავნის იმ ნაწილისა, რომელიც არის შენახული სარგებლიანი ქალალდებით (მუხ. 67).

26) ამხანაგობისა გასამართავად თავ და პირველად ნასესხი თავნ, არი ჩათვლება ამხანაგობის იმ შეკრულობის წერილების ზომაში, რომელიც მოხსენებულია 25 მუხლში.

27) ამხანაგობის შეკრულობის წერილები ხათრიჯამდება:

ა) თვითოული წლის მოგებით,

ბ) სათადარიგო თავნით,

გ) წევრების წილადის შემოსატანის თანხით, და

დ) წევრების ქონებით.

28) ვინიცობაა ამხანაგობა შეუძლებელ იქმნა (მუხ. 25) მისი შეკრულობის წერილების კმაყოფილება ამ რიგით და ჯერით უნდა გადახდეს:

ა) წლის მოგებიდამ;

ბ) სათადარიგო თავნიდამ;

გ) წევრების მთელის წილიდამ და ნაწილიდამ, იმის მიხედვით თუ ეის რამთვენი შემოტანილი ექნება; და

დ) ამხანაგობის წევრების ქონებიდამ (მუხ 61) თანასწორად, ერთმანეთის თავდებობის საფუძველთ (მუხ. 7. პ. ბ.) ამასთანავე, თუ რომელიმე მათგანნი შეუძლებელნი იქმნებიან, მათს წილადობაზედ ხვედრი გარდასახადი უნდა თანა წორად გაიწილონ დანაშთენ ამხანაგებმა—იქამდე ვიდრე სრულიად არ დაკმაყოფილდებიან ამხანაგობისაგან მიცემული შეკრულობის წერილები.

(შემდეგი)

ნარევი

ის დროს, როდესაც იტალიის მმართებლობა ასეთის ამბით ემზადება ავსტრიის იმპერატორის მიღებას ვენეტიკში, ამ ქალაქში ისეთი კაცის ძეგლი უკურთხებიათ, რომელიც მოსისხლე მტერი იყო ავსტრიისა, რადგან იმას ამ ოცი წლის წინათ თითქმის ნახევარი იტალია ექვემდებარეობდა. ეს კაცი არის დანიელ მანინი, გამოჩენილი იტალიელი პატრიოტი, რომელიც 1849 წელს ვენეტიკის დიქტატორი იყო, როდესაც ამ ქალაქში რევოლიუცია მოხდა და ავსტრიელები განდევნეს.

ამ კაცის ძეგლი მარტის 22 ს (10) უკურთხებიათ ვენეტიკში და ამ დროს იქ დიდი ამბავი ყოფილა: მთელი ქალაქი მხიარულობით იგონებდა თავის საუკეთესო პატრიოტის მოქმედებას, იტალიის პარლამენტმა და თვით მმართველობამაც თავის წარმომადგენლები გამოგზავნა, რომ ამ სახალხო დღესასწაულზე დასწრებოდნენ.

* *
*

ერთმა ამერიკელმა ისეთი საცურავი იარაღი მოიგონა, რომლის შემწეობითაც ოცი ვერსი შეუძლია თურმე გასცუროს წყალში, რაც უნდა აღელვებული ზღვა ან ჩქარი მდინარე იყოს. ეს კაცი ევროპაში მოდის ახლა და როგორც ამბობენ, პადე-ქალე უნდა გასცუროს, საფრანგეთიდამ ინგლისში. უნდა იცოდეთ, რომ პადე-ქალეს სიგანე შვიდ ვერსზე ნაკლები არსად არ არის.

* *
*

ზოგიერთ ყირიმის სოფლებში ვილაცაებს ხმა დაუყრიათ, რომ რაც ახალგაზდა ქალები არიან, ყველას საღ დათად წაიყვანებენო. ეს ხმას ისე დაუფრთხობია იქაური გასათხოვარი ქალები, რომ გამწარებული დარბოდნენ თურმე და ეძებდნენ: იქნება, როცა გაეთხოვებინა, ხანი მაინც აღარ წაგვიყვანონ სალდათათაო, და ძალიან ბევრიც აჩქარებით გათხოვილა. ერთს ოდესის გაზეთში დაბეჭდილია ელისავეტოგრადის ისპრავნიკის ბრძანება, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერია, რომ ვინც ხალხში ამისთანა უსაფუძველო და უგუნურ ხმას გაავრცელებს და ამ ნაირად მცხოვრებლესს აშფოთებს, კანონით სასტიკად დაისჯებაო...

* *
*

ნეჟინიდამ იწერებიან ერთს რუსულს გაზეთში, რომ ამ მოკლე ხანში იქაური იურიდიკული ლიცეის პროფესსორს უფ. ზაბეგინს რევოლვერით თავი მოუკლავს. ეს ამბავი მით უფრო გასაკვირველი არისო, იწერებიან, რომ არი თვე არ იქნება, რაც ამ ახალგაზდა პროფესორმა ცოლი შეირთოო. მაგრამ გამოძიებას აღმოუჩენია, რომ ამ კაცს ერთსა და იმავე დროს ორი ქალი უყვარდა, და როცა ერთი შეირთო, მხოლოთ მაშინ იგრძნო, რომ რომელიც შეირთო, ის უფრო ნაკლებად უყვარდა, ვიდრე მეორე. ამ სიყვარულის ბრძოლას აბრალებენ პროფესორისაგან თავის მოკვლას.

* *
*

სავაჭრო

ინტენდანტის სამმართველო კავკასიის სამხედრო მაზრისა აცხადებს, რომ მომავალი აპრილის 24 ს ინტენდანტის სამმართველოში იქნება ვაჭრობა ოჯარით აღებისათვის: ჯალალ ოღლის მალზიაში ცხენებისათვის ქერი — 2,100 ჩეტვერტი; 25 მაისს — 300 ჩეტვერტი უნდა წარდგინონ, 15 ივნისს — 900 ჩეტვ. და 1 ივლისს დანარჩენი — 900 ჩეტვერტი.

ინტენდანტის სამხარველო კავკაზიის სამხედრო მაზრისა აცხადებს, რომ ქ. როსტოვში (დონზე) იქნება ვაჭრობა ფეტვის ოჯარით აღებაზე. რომელიც შავი ზღვის ნაპირა ქალაქებში უნდა წარდგინონ; სულ 10,000 ჩეტვერტი იქნება წასადგენი, რომლიდამ 2,700 ჩეტვერტი სოხუმის მალაზიაში. ვაჭრობა 22 აპრილს არის დანიშნული.

კავკასიის ინჟენერის სამაზრო მმართველობა გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ ჯარით აღება შემდეგი მუშაობისა: ყუბან ს მაზრაში კონსტანტინოვსკის სტანიცაში ლაზარეთია, რომელიც როტის სადგომად უნდა გადაკეთდეს.

ფასი 6,714 მანეთი და 52 კაპეიკი დანშნული. ვაჭრობა სტავროპოლში იქნება აპრილის 7 ს.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	8	18	8	17				
ცხეთა. . .	9	18	10	—		68		38
ბორი . .	11	39	1	43	2	40	1	23
სურამი . .	1	52	4	30	3	92	2	18
ბეჟათუბანი	3	45			4	42	2	46
ყვირილა .	6	49			5	81	3	23
ქუთაისი. .	7	55			6	75	3	75
სამტრედია.	9	2			7	73	4	29
ახ.-სენაკი.	10				8	57	4	76
ფოთი. . .	11				9	75	5	42
ფოთი . .	7	38						
ახ.-სენაკი.	9	11			1	18		66
სამტრედია.	10	12			2	6	1	14
ქუთაისი .	11	17			3	4	1	69
ყვირილა.	12	38			3	98	2	21
ბეჟათუბანი	3	27	ღამე		5	33	2	96
სურამი . .	4	57	12	30	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	31	7	36	4	9
მცხეთა . .	9	52			9	8	5	4
თფილისი	10	49	8	2	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ — ორშაბ. დილის 8 საათ.

სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს — სამშაბათს, ღამით.

ოდესას — კვირას. გაათენებისას.

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმიდ. .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდ. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდ.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსპალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ახალციხეს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან — ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში:	კაპ
ღია წიგნის	5
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	10

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 21 მარტს.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 33 პენსი.	—	84
პარიჟში 350 სანტიმი.	—	89
მსკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	98	75
მოგებიანი (პირველისესხი)	197	50
მოგებიანი (მეორე სესხი)	193	25
ბრაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.		
ხერსონის ბანკის (5½)	87	—
მოსკოვის (5%). . . .	8[illegible]	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის.	224	—
ფოთი თფილ. რკინ. გზის	133	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 27 მარტს.		
პური შორაგალის ფთ.	1	20
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	4	60
— ამერიკისა, ფუთი. .	6	70
ბაპინტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ.	6	—
— თარაქამისა ფთ. .	3	60
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	40
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
— ცხვრისა, ლიტრა. .	1	—
სპირტი. ვედრო. . .	7	—
შაქარი, კარგი ფუთი .	8	55
— ფხვნილი ფუთი . .	6	90
ყავა გრგვლი ფუთი .	19	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	49
ოქრო ½ იმპერიალი. .	5	90

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Марта 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.